პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

10 დეკემბერი, ოთხშაბათი, 1986 წ.
№ 236 (9397) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სპორტსახკომში

გუშინ საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტში შეხვედრა მოუწყვეს საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა ნაკრებ გუნდს, რომელმაც სულ ახლახან კიდევ ერთი დიდი გამარჯვება მოიპოვა — დიუბაიში (გაერთიანებული არაბული საემიროები) გამართულ ქალთა XII საჭადრაკო ოლიმპიადაზე დაუმარცხებლად იასპარეზა და მეთერთმეტედ მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედლები.

— მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი რესპუბლიკა, — თქვა შეხვედრაზე, — მოუთმენლად ელოდა ამ ახალ წარმატებას, სჯეროდა ჩვენი მოჭადრაკეებისა და აკი მათაც — მაია ჩიბურდანიძემ, ელენა ახმილოვსკაიამ, ნონა გაფრინდაშვილმა და ნანა ალექსანდრიამ არ გააწბილეს ქომაგები და შესანშნავი საჩუქარი მიუძღვნეს მათ. განსაკუთრებული სიხარული მოჰგვარა ყველას ჩვენმა სწორუპოვარმა დიდოსტატმა ნონა გაფრინდაშვილმა, რომელმაც მაქსიმალური შედეგი აჩვენა — 10 შეხვედრიდან ათივე მოიგო!

— შემეძლო მეთერთმეტე პარტიაც მეთამაშა და ისიც მომეგო, — ხუმრობით თქვა მსოფლიოს ექსჩემპიონმა, — მაგრამ შეგნებულად ავარიდე თავი ამ შესაძლებლობას. საქმე ისაა, რომ ეს ჩემთვის მეათე ოლიმპიადა იყო და ამიტომაც „მხოლოდ“ ათ გამარჯვებას დავჯერდი.

ჩვენმა ოლიმპიელებმა აღნიშნეს, რომ ერთი შეხვედვით გუნდმა თითქოს იოლად მიაღწია გამარჯვებას, მთელი 4,5 ქულით გაუსწრო უახლოეს მდევარს, მაგრამ IX ტურამდე (სულ 14 ტური იყო) ბევრი რამ ბუნდოვანი და გაურკვეველი იყო, —ვერავინ იტყოდა, საბოლოოდ როგორ დამთავრდებოდა შეჯიბრება.

მოჭადრაკეებმა აღნიშნეს, რომ ეს დიდი ფორუმი ბრწყინვალედ იყო ორგანიზებული, შეჯიბრებას დიდ ყურადღებას უთმობდა ტელევიზია, პრესა.

შეხვედრაზე მრავალი საყურადღებო აზრი გამოითქვა ჩვენს რესპუბლიკაში ჭადრაკის შემდგომი განვითარების შესახებ. ნონა გაფრინდაშვილმა წამოაყენა წინადადება, რომ ნიჭიერი, პერსპექტიული მოზარდების (რომლებიც მრავლად გვყავანან რესპუბლიკაში) შენარჩუნების მიზნით საჭიროა კოპლექსურად მიუდგეთ მათ აღზრდადაოსტატების საკითხს, საჭიროა მათ თავიდანვე სრულყოფილი პროფესიული მომზადება ჰქონდეთ. მე, მაგალითად, სიამოვნებით ვიქნებოდი რომელმე ჩვენი მოზარდი მოჭადრაკის კონსულტანტი, — თქვა ნ. გაფრინდაშვილმა, — ამით მწვრთნელის როლი კი არ დაკნინდება, პირიქით, ჩვენ ერთმანეთს შევავსებთ და ვფიქრობთ, ეს თანამშრომლობა სასურველ ნაყოფს გამოიღებს.

დიდოსტატის წინადადება მოიწონა სპორტსახკომის ხელმძღვანელობამ.

შეხვედრაზე გამოითქვა სურვილი, რომ საქართველოში შეიქმნას ბოტვინიკისა და კასპაროვის სკოლის მსგავსი სასწავლებელი. აღინიშნა, რომ ეს მატად საშური საქმეა, ოღონდ ვინაიდან ჩვენს რესპუბლიკას ამის გამოცდილება არ გააჩნია, ამიტომ ჯერ საფუძვლიანადაა შესასწავლი ბოტვინიკისა და კასპაროვის სკოლის მუშაობის საკითხი, საჭიროა მომზადდეს მყარი ნიადაგი და მხოლოდ ამის შემდეგ გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯი. სპორტსახკომში გამართულ ამ შეხვედრაზე ჩვენი ჭადრაკის განვითარების კიდევ არაერთი საჭირბოროტო საკითხი წამოიჭრა.

გუშინ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტიდან გვაცნობეს: შაბათს, 13 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო ცირკში გაგრძელდება შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში. სარბიელზე გამოვლენ გლდანისა და ძველი რუსთავის უბნების, კასპის რაიონის სოფელ ხოვლეხა და თელავის რაიონის სოფელ სანიორეს ფალავნები. შეჯიბრებები 12 საათზე დაიწყება.

ბალავერი

ჭადრაკის დაფასთანაა ნორჩი ჩემპიონი

13 წლის სამტრედიელმა სოფიკო ტერელაძემ წლეულს მოჭადრაკე ქალთა შორის რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება გაიყო ქეთევან მელაშვილთან და სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. სოფიკომ ჭადრაკის მოყვარულთა აღიარება მოიპოვა უკომპრომისო, ბრწყინვალე თამაშით. იგი ხუთი წლისა ეზიარა ჭადრაკს. მისი პირველი მწვრთნელი იყო მამა—ვაჟა ტერელაძე, სამი წლის შემდეგ რესპუბლიკურ ტურნირზე „თეთრი ეტლი“ რვა წლის გოგონამ პირველი თანრიგი მიიღო, ხოლო 9 წლისამ ნახევარფინალურ ტურნირში მესამე ადგილი დაიკავა და ჭადრაკში ქალთა შორის საქართველოს ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

სურათებზე: გაკვეთილზე; საჭადრაკო დაფასთან; თანაკლასელებს შორის.

გ. შარაშენიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



Советский спорт

ციტატა

ხარკოვში გრძელდება წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩები იმ კოლექტივებისათვის, რომლებმაც VII-XII ადგილები უნდა გაინაწილონ. როგორც ვიუწყებოდით, თბილისის „დინამომ“ პირველი ორი შეხვედრა მოიგო. ჩვენი გუნდის მწვრთნელებს ამ შეჯიბრებაზე ძირითადად ახალგაზრდული შემადგენლობა გამოჰყავთ და მას მომავალი ჩემპიონატისთვის ამზადებენ. აი რას წერდა გუშინ „სოვეტსკი სპორტი“.

„ასეთ ვითარებაში მწვრთნელებს შესაძლებლობა ეძლევათ დიდი რისკის გარეშე შეამოწმონ ახალგაზრდები ოფიციალურ შეჯიბრებებში. და უნდა ითქვას, ეს ამართლებს იმედებს. ამ შემთხვევაში სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ თბილისელ დინამოელთა სასტარტო მატჩები“.

თაოსნობის ესტაფეტა

მინიფეხბურთი საზღვრებს აფართოებს

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის თაოსნობით კიდევ ერთ საინტერესო ღონისძიებას ეყრება საფუძველი. პარასკევს, 12 დეკემბერს თბილისში დაიწყება უბნებს შორის რესპუბლიკური პირველობა მინიფეხბურთში. შეჯიბრებაში გამოვლენ თბილისის („ვერა“ და „ვაკე“), ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის, თელავის, ჭიათურის საუკეთესო გუნდები. ამ შეხვედრებს სპორტის სასახლე და „ბურევესტნიკის“ სპორტული კომპლექსი უმასპინძლებს.

გთვაზობთ შეხვედრების გრაფიკს.

13 დეკემბერი

„ბურევესტნიკის“ სპორტკომპლექსი

11.00 ჭიათურა—თბილისი („ვაკე“)
12..00 თელავი — თბილისი („ვერა“)
13.00 ბათუმი — ცხინვალი
14.00 ქუთაისი — სოხუმი

სპორტის სასახლე

19.00 ბათუმი — თბილისი („ვაკე“)
20.30 ქუთაისი — თბილისი („ვერა“)

14 დეკემბერი

სპორტის სასახლე

11.00 ჭიათურა — ცხინვალი
12.00 თელავი — სოხუმი
13.00 ჭიათურა — ბათუმი
14.00 თელავი — ქუთაისი
19.00 ცხინვალი — თბილისი („ვაკე“)
20.30 სოხუმი — თბილისი („ვერა“)

15 დეკემბერი

სპორტის სასახლე

19. 00 I ჯგუფის I ადგილი — II ჯგუფის II ადგილი
20.30 II ჯგუფის I ადგილი — I ჯგუფის II ადგილი

16 დეკემბერი

სპორტის სასახლე

19.00 თამაში III-IV ადგილისათვის
20. 30 თამაში I-II ადგილისთვის

რა გაკეთდა „ლელოს“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ?

„არ თბეგა ხუთი დარგაზი“

„წულუკიძის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომი „ლელოს“ 29 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. გორდის, კინჩხის, ძეძილეთისა და დედალაურის სოფლებში გათბობის შეფერხების საკითხი განიხილა განათლების საბჭომ, დირექტორები მკაცრად გააფრთხილა და გაატარა საჭირო ღონისძიებები. ამჟამად აღნიშნულ სოფლებში გათბობა აღდგენილია.

რაც შეეხება -მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ტექნიკუმის სპორტულ დარბაზს, აქ საჭიროა გათბობის მთელი სისტემის შეცვლა. ეს სამუშაოები მომავალ წელს ჩატარდება.

ტ. მონიავა,
წულუკიძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე“.



მოფარიკავეთა შორის საქართველოს თასის გათამაშებაში, რომელიც საქართველოს სპორტკომიტეტის საფარიკაო დარბაზში ჩატარდა, ბევრი ახალგაზრდა სპორტსმენი მონაწილეობდა. ახლა, როდესაც გეზი ყველას გუნდის გაახალგაზრდავებისაკენ აქვს აღებული, ამ ფაქტში არაჩვეულებრივი არაფერია. სასიხარულო კი ისიც არის, რომ მოზარდმა მუშკეტერებმა მაღალი ბრძოლისუნარიანობა გამოიჩინეს უფროს მეტოქეებთან ბრძოლაში და სამმა მათგანმა საქართველოს თასი დაისაკუთრეს.

იხ. მე-4 გვ.



გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე

პირველი ქულები

სსრ კავშირის, იუგოსლავიის, რუმინეთის, პოლონეთისა და საქართველოს ,სახელმწიფო დროშებით მორთულ თბილისის სპორტის სასახლის სარბიელზე ვაჟ ხელბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებს ნორჩებმა ,ყვავილები და ქართული მიწის ნობათი მიართვეს, მერე მოცეკვავე გოგო-ბიჭებმა თავიანთი ხელოვნება წარმოადგინეს...

საასპარეზოდ პირველნი საბჭოთა კავშირის ნაკრები კოლექტივები — პირველი და ახალგაზრდული გუნდები გამოვიდნენ. შეხვედრა ანგარიშით 26:18 (13:7) მოიგო პირველმა ნაკრებმა.

ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონმა იუგოსლავიის ნაკრებმა სასტარტო მატჩი რუმინეთის გუნდთან გამართა. ანგარიშით 24:22 (15:14) იუგოსლავიელებმა გაიმარჯვეს.

პირველი ტურის უკანასკნელ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ პოლონეთისა და საქართველოს გუნდები. წარმატებას სტუმრებმა მიაღწიეს — 33:20 (14:14).

ტურნირის კალენდარი რამდენადმე შეიცვალა. დღეს ერთმანეთს ხვდებიან: 16.30 საათზე — იუგოსლავია და სსრ კავშირი-II, 18.00 სთ. — პოლონეთი და სსრ კავშირი-I, 19.30 სთ. — რუმინეთი და საქართველო.



გულშემატკივრის კუთხე

არც ერთი დღე სპორტის გარეშე

ცნობილ მწერალს ლევან ხაინდრავას უცნაური ბედი დაჰყვა. მამამისი ივლიანე მეფის მთავრობამ სახალინზე გადაასახლა, საიდანაც იგი ხარბინში გადავიდა. აქ გაატარა ლევან ხაინდრავამ ბავშვობის წლები (1916 წლის 27 დეკემბერს დაიბადა). შემდეგ ხაინდრავების ოჯახი შანხაიში აღმოჩნდა. აქ მომავალმა მწერალმა ფრანგული უნივერსიტეტი დაამთავრა და ჟურნალისტად დაიწყო მუშაობა. ბავშვობიდან სპორტით ყოფილა გატაცებული და დღესაც მისი თაყვანისმცემელია. 1948 წლიდან თბილისში ცხოვრობს. ქართველი და რუსი მკითხველი კარგად იცნობს მის წიგნებს „პირველი შეხვედრა“, „ტყეში“, „ნისლი ჰორიზონტზე“, „მოთხრობები“, „მოკრძალებული მოწმე“, „ვიწროა კარნი შენნი“, „მამისეული სახლი“ (რამდენიმე მოთხრობა ჩინურადაც ითარგმნა). ქართულ პრესაში ხშირად იბეჭდება ხაინდრავას საინტერესო სპორტული მიმოხილვები. ჩვენ შეგვიძლია ძველი ბერძნული გამოთქმა, ოდნავ გადასხვაფერებული, მისი ცხოვრების წესს მივუსადაგოთ: არცერთი დღე სპორტის გარეშე! დიახ, ლევან ხაინდრავა მთელ თავისუფალ დროს სპორტს უთმობს და ასევე იქცევა მისი ოჯახის ყველა წევრი. მწერლის მეუღლე ლიუდმილა ხაინდრავა-ბაიკოვა სპორტის ოსტატია კალათბურთში, თამაშობდა თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდში, 1949 და 1950 წლებში საქართველოს ჩემპიონი იყო. კალათბურთს თამაშობდა მისი უფროსი ვაჟიც, ინჟინერი ივლიანე ხაინდრავა. უმცროსი ვაჟი გიორგი კი, რომელიც ახლა კინოოპერატორია, რამდენიმე წლის მანძილზე გამოდიოდა თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა სათადარიგო გუნდში, იყო „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი. ქალიშვილი ლია, უცხო ენების ინსტიტუტის სტუდენტი, სპორტის დიდი გულშემატკივარია. ერთი წუთით მაინც რომ მოხვდეთ ხაინდრავების ოჯახში, როცა კალათბურთელთა ტურნირის მატჩებს გადმოსცემენ ტელევიზიით, ან თბილისის „დინამო“ სადმე სტუმრად თამაშობს, იტყვით: — აი, როგორი უნდა იყოს გულშემატკივარი!

⊙ ბატონო ლევან, სპორტმა ფრანგულ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში გაგიტაცათ?

— არა, რას ბრძანებთ, იქ სპორტს ყურადღება არ ექცეოდა. ბავშვობაში შევიყვარე. ჩინეთში სპორტი არ ყოფილა ისე განვითარებული, როგორც ევროპაში, თუმცა შანხაიში სხვა ვითარება იყო, რადგან იქ ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები, ამერიკელები ცხოვრობდნენ. მათ ჰქონდათ სპორტული კლუბები თავიანთი ლიგებით, იმართებოდა საქალაქო შეჯიბრებებიც.

⊙ ქართულ და ჩინურ ჭიდაობას საერთო თუ აქვთ რამე?

— საერთოს მოძებნა ძნელია. ქართველები სარბიელზე სწორუპოვარნი არიან. 30-იან წლებში ჩინელები უფრო ფეხბურთით იყვნენ გატაცებულნი, თუმცა არც ამ სახეობაში ჰქონიათ დიდი წარმატებები.

⊙ შანხაის სპორტული ცხოვრებიდან რომელი სპორტული მოვლენა დაგამახსოვრდათ?

— 1933 წელს შანხაის მსოფლიო ჩემპიონი ალექსანდრე ალიოხინი ეწვია, რომელიც მაშინ დიდების ზენიტში იყო. დიდოსტატმა ერთდროული თამაშის სეანსი გამართა 64 დაფაზე. სეანსს დიდძალი მაყურებელი დაესწრო, რამდენიმე დღის შემდეგ კი ერთ-ერთ სპორტულ კლუბში მეტად საინტერესო შემთხვევას შევესწარი: ალიოხინი ბრიჯს თამაშობდა, იმავე დროს ჭადრაკში სამ პარტიასაც, დაფაზე დაუხედავად. საოცარი ის იყო, რომ ბრიჯიც მოიგო და სამ პარტიაშიც იოლად გაიმარჯვა.

⊙ რამდენიმე სიტყვა საკუთარ სპორტულ საქმიანობაზეც გვითხარით.

— შანხაიში ფრენბურთის სათამაშოდ მიგვიწვიეს. შვიდმა ქართველმა გაჭირვებით შევადგინეთ გუნდი. სხვა გუნდებს, მაგალითად, იტალიელებს, ფრანგებს, გერმანელებს არც მოთამაშეები აკლდათ, მეტი გამოცდილება და პროფესიონალი მწვრთნელები ჰყავდათ. ჩვენ დიდი სპორტული სიმტკიცის და შემართების წყალობით გავიმარჯვეთ და მეორე ლიგიდან პირველში გადავედით, სადაც დიდხანს ჩვენ და იტალიელები ვასპარეზობდით დუმარცხებლად. მოხდა ისე, რომ ჩემპიონის გამოსავლენად გადამწყვეტ მატჩში ჩვენ უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. შესაძლოა, იტალიელები ჩვენზე უკეთ თამაშობდნენ, უკეთესი პირობებიც ჰქონდათ, მაგრამ ჩვენ ერთი სურვილი გვამოძრავებდა — აუცილებლად უნდა მოგვეგო მატჩი. ერთი სიტყვით, თავი გამოვიდეთ. ასეთი აღტკინებით, შემართებით, თავგანწირვით არასოდეს გვითამაშია. გავიმარჯვეთ და ამით ყველა გავაკვირვეთ. იტალიელები, დროშებით მოსულები, გაწბილებულნი წავიდნენ. ამ მატჩს ყველა შანხაელი ქართველი ესწრებოდა, ჩვენ ყველას ძალიან გვინდოდა მალე დავბრუნებულიყავით სამშობლოში. სანთლით ვეძებდით ცნობებს საქართველოს შესახებ, თუმცა ადგილობრივი პრესა ჩვენთვის საინტერესოს, შეიძლება ითქვას, არაფერს ბეჭდავდა. გამოსავალი მაინც მოვნახე. 30-იანი წლების მიწურულს სისტემატურად დავდიოდი საკდესის შანხაის განყოფილებაში, სადაც სხვა გაზეთებთან ერთად „კრასნი სპორტსაც“ იღებდნენ. 1938 წლის 14 მაისის „პრავდაში“ წავიკითხე ცნობა ფეხბურთში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის შესახებ: თბილისის „დინამომ“ ანგარიშით 4:1 მოსკოვის „დინამო“ დაამარცხო. მე ვიცოდი, რომ მოსკოვის „დინამო“ იმ დროისათვის მეტად ძლიერი გუნდი იყო. აღტაცებაში მოვედი. ერთი სული მქონდა, სანამ ქართველებს ვნახავდი და ჩემს სიხარულს მათ გავუზიარებდი. „კრასნი სპორტში“ ბორის პაიჭაძის სურათი ვნახე. ვფიქრობდი, ნეტავი როდის მეღირსება-მეთქი სამშობლოში დაბრუნება, რომელიც არასოდეს მენახა, როდის ვნახავ-მეთქი ჩვენი შესანიშნავი გუნდისა და ბორის პაიჭაძის თამაშს!

⊙ მხოლოდ ფრენბურთით იყავით გატაცებული?

— არა, რატომ. წლების განმავლობაში ვიყავი უნივერსიტეტის ფეხბურთელთა გუნდის მეკარე, ვმონაწილეობდი მოკრივეთა შეჯიბრებებში. საბჭოთა კავშირში დაბრუნების შემდეგ ვმსაჯობდი კრივსა და ფეხბურთში გამართულ შეჯიბრებებს.

⊙ თქვენ სისტემატურად ესწრებით სპორტულ ახალგაზრდობებს?

— დიახ, მაგრამ ამჯერად ნება მომეცით წარმატებაზე არ ვილაპარაკო. კრივში მკვეთრად დავიხეთ უკან. და ახლა ვგონებ მდგომარეობა სწორდება. ფრენბურთი თითქმის აღარ არსებობს. ხელბურთში საუკეთესო გუნდები გვყავდა, მაგრამ ახლა? სპორტში ტაქტიკისა და ტექნიკის ტოლფასია სიმამაცე, შემართება, მაგრამ ვინც ჩვენი ფეხბურთელების წლევანდელ მატჩებს ესწრებოდა, რა სიმამაცესა და შემართებაზე შეუძლია ილაპარაკოს? განა ჩვენი თაობის ფეხბურთელები ასე უნიათოდ, უღიმღამოდ, ყოველგვარი სპორტული ჟინის გარეშე თამაშობდნენ?!

ზოგიერთ ჩვენს გაზეთს უცნაური სენი სჭირს — თუ თბილისელებმა გაიმარჯვეს, მატჩი კარგად შუქდება, მაგრამ საკმარისია დამარცხდნენ, გაზეთის ფურცლებზე დიდი-დიდი, მოკლე ინფორმაციას თუ იხილავთ თამაშზე. ჩემი აზრით, ეს ღირსებას არ გვმატებს.

მინდა ორი სიტყვა ვთქვა თბილისელ მაყურებელზე. მე სხვა ქალაქებშიც ხშირად ვესწრები შეჯიბრებებს და თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ თბილისელი გულშემატკივარი საუკეთესოა, რაც მთავარია, ობიექტური და სამართლიანი. მეტოქეს ოსტატური თამაშისთვის ტაშით აჯილდოებს, არასოდეს არ მცირებს-მას სხვა ქალაქებში ასეთი ტაქტიანი გულშემატკივრები ცოტანი არიან. მაგრამ ჩვენი მაყურებელი შედარებით თბილისელ გულშემატკივრებს სჭირდება. რა მოხდება, რომ ახალგაზრდა გულშემატკივრები ერთად დასხდნენ, ხელში ტრანსპარანტები და დროშები დაიჭირონ და მოთამაშეებს უკიჟინონ. მეტი მოეთხოვებათ მწვრთნელებსაც. ისინი კარგ სპორტსმენს კი არ უნდა ზრდიდნენ, არამედ ნამდვილ ვაჟკაცებს, რომლებიც რადაც უწყებრივ ნაჭუჭებში ყოფნას ვერ შეეგუებიან.

⊙ თქვენი საყვარელი სპორტსმენი?

— მე ვლადიმერ ბარქაიას დიდი გულშემატკივარი ვიყავი. მას, როგორც ცნობილია, დიდებული ტექნიკა ჰქონდა. ძალიან ღრმად ესმოდა ფეხბურთი, როგორც ტაქტიკოსს, ბადალი არა ჰყავდა. თანაც თავმდაბალი იყო — საკუთარ თავზე ვერაფერს ათქმევინებდით. ძალიან უხეშად ეთამაშებოდნენ, მაგრამ თავდაჭერის უნარი ჰქონდა...

მინდა გამოვთქვა ჩემი სიმპათია შესანიშნავი დიდოსტატის ნანა იოსელიანის მიმართ. დიდი სიამოვნებით ვეცნობი მის პარტიებს, ტურნირსაც, რომელშიც იგი მონაწილეობს, ყურადღებით ვადევნებ თვალს. მინდა წარმატება ვუსურვო მომავალ საზონთშორისო შეჯიბრებაში.

⊙ ცხადია, სპორტული ლიტერატურის მიმართ გულგრილი არ იქნებით.

— უკანასკნელ ხანს წავიკითხე ბლოხინის საინტერესო წიგნი. იგი დიდი სიყვარულით იხსენიებს ქართველ კოლეგებს. ჩემი აზრით, მიუკერძოებლად ლაპარაკობს — ჩვენი გუნდებისა და ცალკეული ფეხბურთელების ღირსებანაკლოვანებებს ობიექტურად აფასებს.

⊙ რამდენიმე დღეში თქვენ 70 წელი შეგისრულდებათ. მინდა მოგილოცოთ ეს ღირსშესანიშნავი თარიღი და ჯანმრთელობა გისურვოთ. დიდხანს ყოფილიყავით ჩვენი სპორტის თავგამოდებული ქომაგი.

— დიდი მადლობა. ჩემის მხრივ ჩვენს გულშემატკივრებს ვუსურვებ მომავალ წელს მეტი სიხარული განეცადოთ.

ესაუბრა გივი გამრეკელი.

ნაწყვეტი მოთხრობიდან — „ფათერაკებით სავსე ზაფხული“

დელტაპლანი



ამბობენ, ივნისი ვერაგი თვეაო. ჯერ იყო და მზემ დააცხუნა უმოწყალოდ, შემდეგ ლეგა ღრუბლების თაღი შეიკრა წყاროსთვალის თავზე და დასცხო წვიმამ, სამი დღე გამოკეტა სახლში ყველა. თავსხმის მიუხედავად გულმაგარაანთ ციხეს ჯუნამ და კოლამ რამდენჯერმე ააკითხეს. იდგა თავისთვის მშრალ, უქარო ადგილას, ფრთებგაშლილი, ცხვირაპრეხილი და თავის ჯერს უცდიდა დელტაპლანი.

სადამდე იწვიმებდა!

მეოთხე დღეს ღრუბლები დაიძინა და კავკასიონის მწვერვალები გამოჩნდნენ, გამოიდარა.

ახლა კი, წვიმისგან დამბალი მიწა გაშრებოდა და მაშინ... გაფრინდებოდა მათი დელტაპლანი, რომლის ფრთებზე ჯუნამ ცარცით წააწერა — „წყاროსთვალი“. დილით ფანჯარასთან კოლამ დაუსტვინა, ტუჩები მობრიცა უცნაურად და სმენის გამკვეთი ხმა გამოსცა, ზურაბი ამბობდა, ღაპურებს ბაძავსო. სწრაფად აირბინეს ციხის ალმართი, ერთხელ კიდევ შეამოწმეს დელტაპლანი და გადაწყვიტეს, კოლა დარჩებოდა ყარაულად დილამდე.

მზე ამობრძანდა კავკასიონიდან, ათასფრად აბრჭყვიალა თავთეთრა მწვერვალები. წყاროსთვალელები უკვე სათბს, ვენახს, ფერმას, მდინარის პირას გაშენებულ ხეხილის ბაღებს მოსდებოდნენ, შრომა იყო გაჩაღებული.

ელიზბარი თავის ოთახში იჯდა, რაღაცაზე კამათობდა ბიალთურასთან, როდესაც კანტორის დარაჯი ნიკალა შემოვარდა ქაქანით:

— გამოდით, გარეთ, ნახეთ რა თასკუნჯი! ავი სული დაფრინავს წყاروسთვალზე ხალხოო, ვიღუპებით.

ელიზბარმა ხელი მოიჩრდილა: სოფლის განაპირა, გულმაგარაშვილების უბანს თავს დასტრიალებს დიდი ფრინველი... გაახსენდა შალვა გამცემლიძის ნათქვამი, ბიჭებმა დელტაპლანი წამოიღეს და ყურადღება მიაქციე, კისერი არ მოიტეხონო. კარგიო, „ზომებს მივიღებთო“, უთხრა მაშინ, მაგრამ დაავიწყდა, რა დასამალია, არც იცოდა დელტაპლანი რა ხელი იყო. ალბათ, ეს არის, დახეთ კაცო, რა ხდება. არა, კარგი ბიჭები არიან ჩვენს სოფელში!

ძმადნაფიცებმა მთელი სოფლის გოგო-ბიჭები ხატის სერზე მილაღლეს. ასამდე ბავშვი გაკვირვებით უყურებდა საფრენ აპარატს და რაც მთავარია, ჯუნას, რომელსაც თეთრი მუზარადი დაეხურა, მოტოციკლისტის სათვალე გაეკეთებინა, მზეჭალას მონაქსოვი ხელთათმანი და ჯუბა ეცვა.

სერის პირას ზეცას გახედა ჯუნამ, ნიავი სამხრეთიდან უბერავდა, ჰაერის აღმავალი დინება იგრძნო. ეს კარგი ნიშანი იყო.

საჭის ტრაპეციას ჩასჭიდა ორივე ხელი, თვალით მოზომა ჩამოკიდების სიმეტრიის წერტილი, მოკლე ნაბიჯებით დაეშვა ბალახით დაფარულ ფერდობზე, გაირბინა ათიოდე მეტრი, ქარის ნაკადმა დელტაპლანის ფრთები დაბერა, ფეხით აირეკნა და მოსწყდა მიწას.

ჯუნა უკვე ჰაერში იყო.

ათი მეტრი, თხუთმეტი მეტრი, ოცი მეტრი!... ბავშვებმა, როგორც კი ჰაერში მოლივლივე დელტაპლანი იხილეს, ყიჟინა დასცეს, სერიდან დაეშვნენ და სოფელში შემოიჭრნენ ვაშას ძახილით. დელტაპლანი ჯერ გულმაგარაანთ უბანს დასტრიალებდა, შემდეგ ვენახებს გადაუფრინა, ხეხილის ბაღებს, საძოვრებს, სათიბებს... ხალხმა თითი აირეკნა და მოსწყდა მიწას.

ჯუნა უკვე ჰაერში იყო.

ათი მეტრი, თხუთმეტი მეტრი, ოცი მეტრი!... ბავშვებმა, როგორც კი ჰაერში მოლივლივე დელტაპლანი იხილეს, ყიჟინა დასცეს, სერიდან დაეშვნენ და სოფელში შემოიჭრნენ ვაშას ძახილით. დელტაპლანი ჯერ გულმაგარაანთ უბანს დასტრიალებდა, შემდეგ ვენახებს გადაუფრინა, ხეხილის ბაღებს, საძოვრებს, სათიბებს... ხალხმა თავი აირეკნა და მოსწყდა მიწას.

ჯუნა უკვე ჰაერში იყო.

ათი მეტრი, თხუთმეტი მეტრი, ოცი მეტრი!... ბავშვებმა, როგორც კი ჰაერში მოლივლივე დელტაპლანი იხილეს, ყიჟინა დასცეს, სერიდან დაეშვნენ და სოფელში შემოიჭრნენ ვაშას ძახილით. დელტაპლანი ჯერ გულმაგარაანთ უბანს დასტრიალებდა, შემდეგ ვენახებს გადაუფრინა, ხეხილის ბაღებს, საძოვრებს, სათიბებს... ხალხმა თავი აირეკნა და მოსწყდა მიწას.

ჯუნა უკვე ჰაერში იყო.

ათი მეტრი, თხუთმეტი მეტრი, ოცი მეტრი!... ბავშვებმა, როგორც კი ჰაერში მოლივლივე დელტაპლანი იხილეს, ყიჟინა დასცეს, სერიდან დაეშვნენ და სოფელში შემოიჭრნენ ვაშას ძახილით. დელტაპლანი ჯერ გულმაგარაანთ უბანს დასტრიალებდა, შემდეგ ვენახებს გადაუფრინა, ხეხილის ბაღებს, საძოვრებს, სათიბებს... ხალხმა

(დასასრული მე-4 გვ.).

წერილი არ დაბეჭდილა...

თერჯოლის რაიონის სოფელ ბარდუბნიდან გაგზავნილ წერილში ახალგაზრდობა გვწერდა, რომ კოლმეურნეობის მეთოდისტი ოთარ ბარდაველიძე ინერტულობას იჩენს, გულგრილად ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას.

ეს წერილი რედაქციამ თერჯოლის რაისაბჭოს აღმასკომს გადაუგზავნა. გთავაზობთ აღმასკომიდან მიღებული პასუხის შინაარსს:

„წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. ფიზკულტურული მუშაობის მეთოდისტს ოთარ ბარდაველიძეს მუშაობაში სერიოზული შეცდომებისა და სამსახურებრივი მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის გამოეცხადა საყვედური. ბარდაველიძე სამუშაოზე დატოვებულია პირობით.

სოფელ ბარდუბანში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის განსაკუთრებულად დაისახა კონკრეტული ღონისძიებები“.

გ. მაკარიძე,
თერჯოლის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

მოკლედ

ცხაკაია

ორ თვეს მიმდინარეობდა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ფეხბურთში რაიონის გარდამავალ პრიზზე.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ძველი სანაკალ საბჭოთა მეურნეობისა და საკოლმეურნეო მშენებლობის საბჭოს ფეხბურთელები. საინტერესო ორთაბრძოლა ძველსენაკელთა გამარჯვებით დამთავრდა.

„ლელოს“ კორ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲖᲚᲔᲕᲐᲚᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔ

ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ფეხბურთელთა 49-ე საკავშირო ჩემპიონატი. ასპარეზობის საბოლოო ცხრილი ელექტრონულ ტაბლოზე რომ გადაგვეტანა, ზედა ორი სტრიქონი მყისვე ციმციმს დაიწყებდა, იმის ნიშნად, ყურადღება მოგვაქციეთო. საქმე ის როდია, რომ ჩემპიონი და მეორე პრიზიორი, ტრადიციისამებრ, ისედაც უნდა გამოვყოთ. ერთი წლის წინათ, 48-ე ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, ამგვარ სიგნალებს გვაძლევდა მხოლოდ ზედა სტრიქონი, სადაც საშწლიანი „შესვენების“ მერე ისევ გამოჩნდა კიევის „დინამო“. სხვა სტრიქონებზე კი ახალს ბევრს ვერაფერს ამოიკითხავდა კაცი.

ფეხბურთის მოყვარულებს უთუოდ ემახსოვრებათ, კიევის დინამოელებმა მაშინ შთაბეჭდილება მოახდინეს არა იმდენად გამარჯვებით (გამარჯვება მათ სხვა დროსაც მოუპოვებიათ), რამდენადაც თამაშის აქტიურ, მანევრულ, შემტევ ყაიდაზე გარდაქმნით. ამ მხრივ მათ ყველა ჩვენს სხვა კლუბს აჯობეს და გაუსწრეს კიდეც სატურნირო ცხრილში.

და აი, კიევის „დინამომ“ უკვე მეთორმეტედ მოიპოვა ჩემპიონის სახელი. ეს რეკორდია! იქნებ გამეორება აღარც არის იმდენად საინტერესო? არა, ამ გუნდისათვის წლევანდელი სეზონი ისე წარიმართა, რომ საშუალება მოგვეცა კიდევ ერთხელ, სავსებით დავრწმუნებულიყავით მის სიმტკიცესა და საიმედოობაში, რაც მოგეხსენებათ, ყველაზე ზუსტად ახასიათებს მაღალი კლასის გუნდს.

მოკლედ გავიხსენოთ განვლილი გზა. გაზაფხულზე — თასების მფლობელთა თასის გათამაშება. ფეხბურთელებს სპორტის დამსახურებულ ოსტატთა წოდება მიეხიჭათ. მაგრამ ზეიმის დრო არ იყო — გუნდი მთელი შემადგენლობით მექსიკაში, მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრა ქვეყნის ღირსების დასაცავად. სასწრაფოდ რეორგანიზებულმა გუნდმა რვა უძლიერესს შორის მოხვედრა ვერ შეძლო, მაგრამ თამაშით (კიევის „დინამოს“ თამაშით) მართლაც გამოიჩინა თავი და ამის გამო ტურნირში წარუმატებლობა ერთგვარად აპატიეს კიდეც. მერე კიევის „დინამო“ ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ჩაება და ლამაზი გამარჯვება მოიპოვა შოტლანდიის „სელტიკთან“, ნაკრებმა კი, რომელიც კვლავ კიევურად თამაშობდა, ევროპის ჩემპიონატის პროგრამით პარიზში გამართულ შეხვედრაში ყოველმხრივ დაჯაბნა საფრანგეთის ნაკრები.. ამას დაუმატეთ ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლებიც. იყო დრო, ამგვარი პროგრამა ფეტხასტიკური ჩანდა. დღეს მაღალი კლასის გუნდები და მოთამაშენი, როგორც წესი, მკაცრი რეჟიმით ასპარეზობენ, უკან დახევისა და მოდუნების უფლებას არ აძლევენ თავს. კიევის „დინამომ“ ღირსეულად გაიარა ურთულესი პროგრამის გამოცდა. ამ სეზონში მისი თამაშის ხარისხი უფრო მაღალი იყო, ვიდრე წინა ჩემპიონატში. ამიტომ არის, რომ კიეველთა წარმატება ქვეყნის პირველობაში უბრალო გამეორებად აღარ გვეჩვენება.

შესაძლოა არითმეტიკულად, ქულების თვალსაზრისით, გუნდის პირველი ადგილი იმდენად შთამბეჭდავი არც იყო. მან სულ ოდნავ გაუსწრო პრიზიორებს (39-38-37). ფრედაც ბევრი შეხვედრა დაამთავრა (11), მეორე წრეშიც პირველსავსებულ თამაშობდა (22 და 17 ქულა). მიუხედავად ყოველივე ამისა, იგრძნობოდა, რომ გუნდმა იცოდა, რა შანსი ჰქონდა და როგორ უნდა გამოეყენებინა ეს შანსი. ვ. ლობანოვსკის მტკიცე ხელმა (ეს მწვრთნელის მეშვიდე გამარჯვებაა ჩემპიონატში, რაც აგრეთვე რეკორდად უნდა ჩაითვალოს) გუნდს ყველა ზღუდე წარმატებით დააძლევინა. რაც მთავარია, თამაშის ნახაზი კიეველებმა სეზონის დასაწყისიდან ბოლომდე შეინარჩუნეს.

ცხრილის მეორე სტრიქონი მოსკოვის „დინამოს“ უკავია. რას ვკითხულობთ ამ სტრიქონზე? დღეს უკვე ორიგინალობად არავის ჩაეთვლება წუწუნი იმის გამო, რომ სახელგანთქმულმა კლუბმა თავისი სახე დაკარგა. ათი ჩემპიონატი ისე გავიდა, იგი პრიზიორთა შორის ვერ ვიხილეთ, შარშან კი მე-17 ადგილზე დარჩა. და აი, ახლა გუნდმა ცხრილის ზედა სტრიქონებისაკენ გაიკაფა გზა. თუ წლეულს ვიმეზეზ შეიძლება ითქვას, მონდომებით თამაშობდაო, პირველ ყოვლისა უნდა ითქვას სწორედ მოსკოვის „დინამოზე“. მოგებათა ყველაზე გრძელი სერიაც მას ეკუთვნის (6) და წაუგებლად ჩატარებული შეხვედრებისაც (14). სწორედ ამ გუნდის დამსახურებაა, რომ ჩემპიონობის ბედი ბოლო მატჩამდე გაურკვეველი დონეს მიაღწია, მაგრამ წინ ვეღარ წავიდა. სწორედ ამიტომ, მიუხედავად საპატიო ახალი რეკორდისა, „სპარტაკის“ მესამე სტრიქონი ჩვენში განსაკუთრებულ ინტერესს ვერ იწვევს, თავისთვის, წყნარად ანთია ტაბლოზე, არ ციმციმებს.

თავისთავად იგულისხმება, რომ ცხრილის დანარჩენი სტრიქონებიდანაც შეგვიძლია გამოვყოთ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. მაგრამ შინაგანი გადაადგილებები ყველა ჩემპიონატში გვხვდება. ამაში გასაკვირი არაფერია. დიდი კითხვის ნიშნები უნდა დავსვათ მხოლოდ „დნეპრისა“ და მინსკის „დინამოს“ გასწვრივ, ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ მეწინავეთა შორის რომ ვასახელებდით. დღეს ამ გუნდებმა ცხრილის ქვედა ნახევარში გადაინაცვლეს, სწორედ იქ, საიდანაც ამ რამდენიმე წლის წინათ მათი აღმავლობა დაიწყო. რა ელით ამ გუნდებს მომავალში? ამ კითხვაზე დღეს ალბათ ძნელია პასუხის გაცემა. ყველაფერს მომავალი სეზონი გვიჩვენებს, მაგრამ ის, რომ ორივე გუნდი განიცდის არა შემთხვევით, არამედ არსებით, სიღრმისეულ სიძნელეებს, უკვე დაგვანახა უეფა-ს თასის გათამაშებაში მათმა უსუსურმა გამოსვლამ. ამ თასის შემდგომ გათამაშებაში დასახელებული გუნდების ადგილს (მოსკოვის „დინამოს“ და „სპარტაკის“ გარდა) „ზენიტი“ და თბილისის „დინამო“ დაიკავებენ. ჩვენთვის სავსებით გასაგებია გუნდების მისწრაფება ამ უფლების მოპოვებისაკენ. მომავალ შემოდგომამდე ჯერ კიდევ დიდი დროა. გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ ევროპულ ტურნირში მონაწილეობის უფლებას ისინი კარგი თამაშით განიმტკიცებენ. ჯერჯერობით კი მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ლენინგრადელებიცა და თბილისელებიც უთანაბროდ თამაშობდნენ და მათთვის კონკურენცია არავის გაუწევია.

„ზენიტის“ ხელმძღვანელებმა ბევრჯერ განაცხადეს, რომ გუნდს თავის ამოცანად მიაჩნია სპრიზო ადგილზე გასვლა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში, მათ შორის საკუთარ მინდორზე გამართულ შეხვედრებშიც, ირკვეოდა, რომ კოლექტივი მზად არ იყო სერიოზული ბრძოლისათვის. კოლექტიური თამაშით თავი ვერც თბილისის „დინამომ“ გამოიჩინა.

რაც შეეხება კონკურენციის სისუსტეს, აქ გარდა მინსკის „დინამოს“ და „დნეპრის“ უკან დახევისა, მე მხედველობაში მქონდა მოსკოვის „ტორპედოს“ მოულოდნელი მარცხიც ჩემპიონატის მეორე წრეში. 20 და 10 — ასეთია გუნდის მიერ სხვადასხვა წრეში დაგროვილი ქულები. ამ კონტრასტების გუნდმა (სხვაგვარად მას ალბათ ვერ უწოდებთ) გაზაფხულზე საკავშირო თასი მოიპოვა, თასების თასის გათამაშებაში ორჯერ ეფექტურად დაამარცხა გფრ-ის „შტუტგარტი“ და ამავე დროს ჩემპიონატის თერთმეტი მატჩი ისე ითამაშა, არც ერთი არ მოუგია. თუ ამ კონტრასტებს იმით ავხსნით, რომ გუნდის შემადგენლობაში ახალგაზრდა (და მეტად ნიჭიერი) ფეხბურთელები გამოდიან, ძალაუნებურად იბადება კითხვა: როგორ მოხდა, რომ მოსკოვის „დინამოს“ იმავე ფაქტორმა ხელი კი არ შეუშალა, პირიქით, წარმატებისკენ უბიძგა? ჩვენ უკვე დიდი ხანია ველით „ტორპედოს“ დაბრუნებას ლიდერთა ჯგუფში და აი, ახლა კიდევ ერთ წელიწადს მოგვიხდება ლოდინი.

წინა ჩემპიონატში მეტად დაძაბული ბრძოლა იყო აუტსაიდერთა შორის, წლეულს ვითარება უფრო მშვიდი ჩანდა. ქუთაისის „ტორპედოც“ და „ჩერნომორეციც“ ადრე შეურიგდნენ ბედს. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ „არარატმა“, „ნეფთჩიმ“, „მეტალისტმა“! ფინიშზე თავს უფლება მისცეს მთელი ძალით არ ეთამაშათ, მეტოქეებისთვის სათანადო წინააღმდეგობა არ გაეწიათ და მატჩები წაეგოთ.

სხვათა შორის, მინდა შევნიშნო, რომ დასკვნითი შეხვედრების დიდ ნაწილში შედეგიანობის ზრდა მაინცდამაინც არ უნდა აღგვაფროთოვანებდეს. ეს უმეტეს შემთხვევაში დამარცხებულთა გულგრილობის შედეგი იყო.

მშვიდად, უპრეტენზიოდ განვლეს სეზონი „შახტიორმა“, „ქაირათმა“, „ჟალგირისმა“. მათ თითქოს წინასწარ იცოდნენ, რა ადგილებს დაიკავებდნენ და სხვაზე არც უფიქრიათ. ჩემი აზრით, მათ მთლიანად არც გამოუყენებიათ თავიანთი შესაძლებლობები. შემთხვევითი როდია, რომ „ქაირათმა“ და „შახტიორმა“, მაგალითად, სამ პრიზიორთან თავიანთ სტადიონებზე 6-დან 5-5 ქულა დაგროვეს, „ჟალგირისმა“ კი შესანიშნავი სტილით დაამარცხა კიევის „დინამო“ მისსავე მოედანზე (3:0), თანაც ისეთ დროს, როცა მომავალი ჩემპიონი მოსკოვის „დინამოს“ ედგა კვალში. მაგრამ „მშვიდი შუალდის“ წარმომადგენლები სწორედ იმით გამოირჩევიან, რომ მშვიდი ცხოვრება უყვართ, მართალია, თავს არავის დაარჩაგვრინებენ, მაგრამ არც ზედმეტ პრეტენზიებს აცხადებენ.

საერთოდ ჩემპიონატი სამართლიანი და ლოგიკური იყო. გაიმარჯვა უძლიერესმა გუნდმა — კიევის „დინამომ“. ოქროს მედლებით აღინიშნა არა მარტო ამ გუნდის წარმატება ჩემპიონატში, არამედ მისი, როგორც ლიდერის როლი — თამაშის კლასით, ნაკრების წინაშე დამსახურებით.

უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ჩვენს ფეხბურთს სადღაც ცხრა მთას იქით კი არა, აქვე, შინ ჰყავს სანიმუშო საკლუბო გუნდი, რომელსაც შეიძლება მიჰბაძო. ალბათ, სწორედ ეს არის 49-ე საკავშირო ჩემპიონატის მთავარი შედეგი.

ლ. ᲤᲘᲚᲐᲢᲝᲕᲘ,
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲛᲮᲘᲚᲕᲔᲚᲘ.

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲞᲐᲣᲤᲝᲗᲔᲑᲔᲜ

ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ მოცურავეთა შეჯიბრებაზე, რომელიც გაისად გაიმართება, დაიშვებიან 1974 წელს დაბადებული სპორტსმენები, რომლებიც თავიანთ გუნდებს ჩათვლას იმ შემთხვევაში მისცემენ, თუ I თანრიგის შედეგს აჩვენებენ. ამ ასპარეზობაში რისი იმედი შეიძლება ჰქონდეს საქართველოს ნაკრებს? ამ კითხვაზე პასუხი უნდა გაეცა მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირველობას, რომელიც ამას წინათ რუსთავის საცურაო აუზ „თოლიაში“ გაიმართა.

შეჯიბრების დებულებით ჩათვლაში შედიოდა II თანრიგის შედეგი. ამთავითვე ვიტყვით, რომ 8 გუნდის 150-მდე სპორტსმენიდან მხოლოდ ორმოცამდე მონაწილემ აჩვენა II თანრიგის ნორმატივი. ბევრი მოცურავე საერთოდ უთანრიგოდ (?!) დარჩა.

შედეგი შედეგად, მაგრამ უფრო იმან დაგვაფიქრა და შეგვაშფოთა, რომ ნორჩ სპორტსმენთა უმრავლესობა ვერ ფლობს სტარტის, მობრუნების ტექნიკას, ცურვის ტექნიკას, ეს იმ დროს, როცა მოცურავეთა აღზრდას რესპუბლიკაში მწვრთნელთა მთელი არმია ემსახურება.

საინტერესოა, რომ თბილისის სპორტსკოლებში მუშაობს 50-მდე მწვრთნელი, რომელთა აღსაზრდელებმა ათი პირველი ადგილი დაიკავეს, რუსთავში (უფროსი მწვრთნელი რ. ერვანდიანი) კი შვიდჯერ ნაკლები მწვრთნელია, მაგრამ მათ... თერთმეტი გამარჯვებული ჰყავთ. განსაკუთრებით ცუდად გამოვიდნენ აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის, ხობისა და ჭიათურის წარმომადგენლები.

საბოლოოდ გუნდურ პირველობაში სპრიზო ადგილები ასე განაწილდა: თბილისის განათლების სამმართველო — 671 ქულა, რუსთავის „განთიადი“ — 532, თბილისის II გუნდი — 222.

პირად პირველობაში სხვებზე უკეთესი შედეგები აჩვენეს თბილისელებმა ეკა რატიანიძემ, ოლეგ იაკუშევმა, ნატალია მარტინოვამ, რუსთაველებმა იგორ ბავლაკოვმა, დიმიტრი კონარიოვმა, ვადიმ ზოლოტარიოვმა და სხვებმა.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲩᲐᲩᲐᲕᲐ.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის ძალოსნობის სასახლეში გაიმართა საბჭოთა კავშირის მეთერთმეტე აბსოლუტური ჩემპიონატი სამბოში ჟურნალ „სოვეტსკი ვოინის“ პრიზზე. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო მძიმე წონის ოცდაათამდე ათლეტმა. პირველი ადგილი და აბსოლუტური ჩემპიონის სახელი მოსკოველმა ვ. რატოვმა დაისაკუთრა. მეორე ადგილზეც მოსკოველი სამბისტი ვ. შკალოვი გავიდა. მესამე ადგილი ვ. სლავნისა (კიევი) და გ. ჩესნოკოვს (ლენინგრადი) ერგოთ.

ᲙᲐᲜᲓᲘᲠ-ᲑᲔᲘ (კანადა). მოეწყო „მფრინავ მოთხილამურეთა“ მსოფლიო თასის პირველი ეტაპი. 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში უველას ი. ვაისფლოგმა (გდრ) აჯობა. პირველ ცდაში იგი 89,5 მეტრზე გადახტა, მეორეში კი — 89 მეტრზე. დიდი ტრამპლინიდან (90 მ.) ხტომებში დაწინაურდა ფინელი მ. ნიუკიანენი (124,5 და 119,5 მეტრი).

ᲰᲐᲐᲒᲐ. სსრ კავშირის ხელბურთელ ქალთა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალურ ჯგუფში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. აქ მასთან ერთად გამოვლენ ნიდერლანდების, უნგრეთისა, გდრ-ის, იუგოსლავიისა და ავსტრიის ხელბურთელები. მეორე ჯგუფში თამაშობენ რუმინეთის, გფრ-ის, ნორვეგიის, ჩინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სამხრეთ კორეის წარმომადგენლები.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ — ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲡᲐᲓ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ?

ᲣᲐᲮᲚᲝᲡᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘᲪ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ, 1988 ᲬᲚᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ. ᲔᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲐ.

მაგრამ სად გაიმართება შემდგომი, 1992 წლის ევროპის ჩემპიონატი? დანიასა და შვეიცარიას განწირულია აქვთ ერთობლივად წამოაყენონ თავიანთი კანდიდატურა 1992 წლის საკონტინენტო ჩემპიონატის ჩატარებაზე. ამის შესახებ, როგორც დასავლეთ გერმანიის სააგენტო დპა იუწყება, კოპენჰაგენში განაცხადა დანიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა. თავიანთი ერთობლივი კანდიდატურის შესახებ ორივე ქვეყნის ფედერაციების წარმომადგენლები გადაწყვეტილებას მიიღებენ წლის დასასრულს თავიანთ გაერთიანებულ სხდომაზე.

ამ ორი ქვეყნის გეგმის შესახებ დპა-ს სააგენტო იუწყება, რომ სკანდინავიის ოთხმა ქვეყანამ (დანია, შვეცია, ნორვეგია, ფინეთი) ადრეც გამოთქვა კონტინენტის ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი, კერძოდ, ეს იყო 1988 წლის ჩემპიონატის წინ, მაგრამ სკანდინავებს მაშინ მხარი არ დაუჭირეს, ვინაიდან უეფა-ს წესდება ითვალისწინებდა ჩემპიონატის ჩატარებას მხოლოდ ერთ ქვეყანაში. ამიტომაც იყო, რომ ევროპის ჩემპიონატის ჩატარება გადაწყდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. მაგრამ უეფა-მ შემდგომში შეცვალა წესდების ეს პუნქტი, დანიასა და შვეციას ახლა ოფიციალური უფლება აქვთ უმასპინძლონ 1992 წლის ევროპის ჩემპიონატს.

საქართველოს თასის გათამაშება ფარიკაობაში

14 წლის პრიზიორი

ერთი კვირის შემდეგ რიგაში დაიწყება საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება ფარიკაობაში. ტრადიციულად, ამ შეჯიბრების პროგრამით მხოლოდ პირადი პირველობა ეწყობა. როგორც უკვე იცით, თბილისში, საქართველოს სპორტკომიტეტის საფარიკაო დარბაზში, დამთავრდა რესპუბლიკური თასის გათამაშება, მაგრამ ამ ასპარეზობას შესარჩევ ტურნირს ვერ ვუწოდებთ. საქმე ისაა, რომ რესპუბლიკური პირველობის დროს ჩვენი რამდენიმე უძლიერესი მოფარიკავე საკავშრო შეკრებებზე იყო და მათი მონაწილეობა რიგის ტურნირში წინასწარ გახლდათ გადაწყვეტილი.

ასეთ პირობებში, ცხადია, ახალგაზრდებს ეხსნებათ გზა გამარჯვებისაკენ, მაგრამ ეს შეიძლება ითქვას მხოლოდ ხმლით ფარიკაობასა და რაპირისტ ვაჟთა შეჯიბრებაზე, რომელშიც ვლადიმერ აფციაური არ გამოდიოდა. გოგონათა შეჯიბრებაში და დაშნით მოფარიკავეთა ასპარეზობაში ყველა ჩვენი უძლიერესი სპორტსმენი ჩაება. მით უფრო სასიამოვნოა, რომ სპორტიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე 16-17 წლის მოფარიკავეები ავიდნენ.

რაპირისტთა ასპარეზობასაც ფაქტიურად მხოლოდ ორიოდე მოზრდილი მოფარიკავე აკლდა. ასე რომ, ჭაბუკებმა ყველას დაუმტკიცეს თავიანთი მზარდი ოსტატობა. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ქუთაისელმა გელა ზვიადაძემ, რომელმაც ორი ფინალური შეხვედრა მოიგო. პირველი ადგილისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა ოლეგ ჩერნიშოვმა, რომელმაც დაამარცხა აჭარის გუნდის წევრი აივაზ მარტიროსიანი (10:4) და თანაქალაქელი დავით მატინოვი — 10:7. გადამწყვეტ ბრძოლაში აშკარა იყო 17 წლის ჩერნიშოვის (მწვრთნელი ლუდვიგ ღაღანიძე) უპირატესობა. მან ანგარიშით 10:4 მოუგო ქუთაისელ სპორტსმენს და პირველი ადგილი დაიკავა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის 57-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ, 14 წლის ვახტანგ ურუშაძემ მოუგო მატინოვს (12:11) და მოზრდილთა შეჯიბრებაში მისთვის მეტად საპატიო მესამე ადგილი დაიკავა.

ბიჭებს არც გოგონები ჩამორჩნენ. პირველი ადგილის ბედი 17 წლის ქეთევან გაჩეჩილაძისა და 15 წლის თეონა გალუაშვილის შეხვედრაში გადაწყდა. უფრო გამოცდილმა ქეთევანმა იოლად აჯობა ორი წლით უმცროს მეტოქეს — 8:2. მესამე ადგილზე გავიდა ხათუნა მამუკაშვილი, რომელმაც მანანა დარასელია დაამარცხა — 8:6. აღსანიშნავია, რომ ოთხივე სპორტსმენს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თამარ დარასელია ავარჯიშებს (თეონა გალუაშვილს — ელისო მარსაგიშვილთან ერთად). მაგრამ გალუაშვილი ფინალის ყველაზე უმცროსი მონაწილე არ ყოფილა: თავი გამოიჩინა ქუთაისის მე-11 საშუალო სკოლის მერვეკლასელმა, 14 წლის ლეილა ხონელიძემ (მწვრთნელი თედო კეზევაძე), რომელიც მე-6 ადგილზე გავიდა.



დავით თურქია.

დაშნით ფარიკაობაში საქართველოს თასი თბილისის რკინიგზის № 1 საშუალო სკოლის მეათეკლასელმა მოსწავლემ, 16 წლის ალექსანდრე ზახაშვილმა დაისაკუთრა (მწვრთნელი იგორ ვახროვი). ეს წარმატება მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ სარბიელზე გამოდიოდნენ IX საკავშირო სპარტაკიადის მონაწილენი — ოლეგ ბალანდინი, ჯემალ გამიაშვილი და მალხაზ ძნელაძე. მეორე ადგილზე გავიდა ბალანდინი, მესამეზე — გამიაშვილი.

IX საკავშირო სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორთა ხუთეულიდან თბილისში მხოლოდ ორნი გამოდიოდნენ: დავით თურქია და აკაკი მახარაძე. ცხადია, შეჯიბრების ფავორიტებადაც ისინი ითვლებოდნენ. მართლაც, გადამწყვეტი ბრძოლა ამ ორ სპორტსმენს შორის გაიმართა. შეხვედრა მეტად დაძაბულად წარიმართა. საქართველოს ხმლით მოფარიკავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი გურამ ლორთქიფანიძე იძულებული გახდა საქმეში ჩარეულიყო. როცა ანგარიში გახდა 9:9, დავით თურქიამ (მწვრთნელი გურამ ლორთქიფანიძე) ორი შედეგიანი შეტევა განახორციელა და გაიმარჯვა — 11:9. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში არჩილ ლორთქიფანიძემ ზურაბ იოსებიძეს სძლია — 10:8. აღსანიშნავია, რომ რვა ფინალისტს შორის შვიდი თბილისელი იყო, ლიდერებს მხოლოდ გაგრელი ჯემალ ანკვაბი გაუმკლავდა.

ოლეგ ჩერნიშოვი.

როგორც ნახეთ, საქართველოს თასის გათამაშებაში ოთხი სახეობიდან სამში გამარჯვება სრულიად ახალგაზრდა სპორტსმენებმა იზეიმეს. გამონაკლისი მხოლოდ ხმლით მოფარიკავეთა შეჯიბრება იყო. ამის მიუხედავად, ყველაზე საიმედო ცვლა ისევე ხმლით ფარიკაობაში გვეზრდება. აქ ჩვენ პერსპექტიულ სპორტსმენთა საერთო რაოდენობას ვგულისხმობთ. რაპირითა და დაშნით ფარიკაობაში კი ჯერჯერობით სულ რამდენიმე ნიჭიერი მოზარდის იმედად ვართ.

დელტაპლანი

დასასრული

არხია და ყველამ გაიგონა ჯუნას ხმა:

— წყაროსთვალელებო, დილა მშვიდობისა.

— ხალხო, კანტორასთან, იქ დაეშვება — ყვიროდა წიორა და წინ მიუძღოდა სეირის მოყვარულთ.

ჯუნამ ერთ ხანს კიდევ დაჰყო ჰაერში, გაღმა სათიბებს გადაუარა, მერე რაიონის ცენტრისაკენ მიმავალ გზას გაჰყვა, ფერმაც დაზვერა და კოლმეურნეობის კანტორისაკენ წამოვიდა, რამდენიმე წრე გააკეთა, ერთხელ კიდევ განაცვიფრა თანასოფლელები და თანდათან, აუჩქარებლად დაიწყო დაშვება... როგორც კი ფეხით შეეხო მიწას, ხალხმა იხუვლა, გარს შემოერტყა დელტაპლანს. ყველას ეწადა ახლოს ენახა ეს „ეშმაკის მანქანა“, ხელით შეხებოდა მას და ჯუნასაც. მაგრამ, როგორც წინასწარ ჰქონდათ დათქმული, ბიჭებმა წრე შეკრეს მის გარშემო.

— დაიწით უკან, აპარატი არ დაზიანოთ! — ყვიროდნენ ბიჭები.

ხალხი რომ მოზღვავდა და მოძალდა, კოლამ, „ფრენის კომისარმა“, განკარგულება გასცა, ასწით დელტაპლანი და მოაშორეთ აქაურობასო. ბიჭებმა გაშლილ მკლავებზე ასწიეს და სირბილით გააქანეს... ციხის გალავანში შეიტანეს, ანგარში შეინახეს და გალავნის კართან დადგნენ დარაჯად.

დოინჯშემოყრილი ელიზბარი აივნიდან გასცქეროდა მოედანზე დატრიალებულ ამბავს. მერე, როდესაც დელტაპლანი ბიჭებმა წაიღეს, ნიკალას უთხრა „კოსმონავტები“ აქ მომგვარეო.

გაჰყვნენ ნიკალას.

ხალხიც გაჰყვა, აივანი გაიცარიელა.

ჯუნამ მუზარადი მოიხადა, სათვალე, ხელთათმანები შიგ ჩაყარა და შზექალას გაუწოდა.

— აბა, ერთი ახლოს მოდით! შენი სახელი მაჩუქე.

— ჯუნა.

— ჰო, ჯუნა, ვიცი, განა არ ვიცი, ჯუნა! იქ (ცაზე აჩვენა თითით) რა გინდოდა?

— დელტაპლანერიზმი სპორტის ახალი სახეობაა...

— მოიცა, მოიცა, აგიტაცია მერე, იქ რა გინდოდა?

— ზემოდან გადმოვხედე ქვეყანას.

— მერე რა ნახე?

— ბევრი რამ.

— კარგად მოჩანს სოფელი?

— როგორც ხელის გულზე. სათიბებს რომ გადავუფრინე ზეინებთან ოთხი კაცი შევამჩნიე... მძინარე.

— მანდ დადექ. ვისი ბრიგადაა სათიბში? — იკითხა თვალებანთებულმა.

— ტარიელ მუსხელიშვილისა.

— წუხელ ქორწილში იყვნენ ეგ მამაძაღლები, სახლში ძილი არ ეყოთ? გასწი, გაალვიძე იქ არ მიმიყვანონ, თორემ შავს დღეს გავუთენებ. კიდევ რა ნახე?

— ფერმას რომ გადავუფრინე დავინახე: ნახირს ღობე გაუნგრევია და პურის ყანას შესევია.

— ვაი შენს ელიზბარს! გასწი ახლავე კახია ყველუპმელაშგილს გადაეცი, კისრისტეხით გაიქცეს ფერმაში, ჩქარა კაცო, არ გესმის? — გაგზავნა მეორე მალემსრბოლი, — კარგი ბიჭი ხარ,— მხარზე დაჰკრა ხელი ჯუნას — ყოველ დღე გაფრინდი, კიდევ ნახე რამე?

— ტყიდან ბეგო გამოვიდა, თან ტომრებით დატვირთული ცხენი გამოიყვანა.

— დახე ბიჭო! საზამთროს მოიპარავდა. დამაცადე! — ტელეფონს მისწვდა და რაიონში დარეკა. — მილიციაა, ელიზბარი ვარ, ელიზბარი, ჰო, აღარ გახსოვარ? პატარა იყო წიწილები? ახლა აი რა, ბეგოს ხომ იცნობ, საზამთრო მოაქვს. წაართვი, დამზადებას გადაეცი. თვითონ ბეგო? პანღური ამოჭკარ და გამოაგდე, ჩვენ მოვუვლით. რაო? წიწილები? იქნება კაცო, იქნება. შენ რასაც გეუბნები ჯერ ის გააკეთე. ნახე, კაცო, თურმე ყველაფერი ჩანს, ყოველდღე უნდა გაფრინდე! რა ჰქვიაო, რა თქვი მაგასა?

— დელტაპლანი.

— არა, პლანი არა. დელტა, დელტა დავარქვათ, არა ხალხო?! დელტას გაუმარჯოს, ჰეჰე! აბა, ახლა ვნახოთ ვინ იცუღლუტებს... აბა, კიდევ რა დაინახე?

— კიდევ? თქვენ დაგინახეთ.

— მე? — ღიმილი შეაცივდა სახეზე. — მე?

— დიახ, თქვენ, აქედან მეათე სახლის ეზოში. რატომღაც ჭიშკრიდან კი არ გამოხვედით გზაზე, ვენახებისაკენ წახვედით...

კანტორიდან მეათე სახლი ჯანსულაშვილის ქვრივს, შავთვალება პელოს ეკუთვნოდა, მთელი სოფელი ჭორაობდა ღამ-ღამობით ელიზბარი იქ დაძვრებაო. ჰოდა... ჯუნამ სოფლის ჭორი დაადასტურა უნებლიედ.

აივანზე შეკრებილნი ხითხითებდნენ, ერთმანეთს თვალს უკრავდნენ...

ელიზბარს წუთიერმა შეცბუნებამ გაუარა. თვალები გადმოკარკლა და რაც ძალა ჰქონდა დაიღრიალა:

— გასწი დამეკარგე აქედან! რაც ჩამოხვედით სოფელში ყველა საქმე აირია, მოსვენება დავკარგე. ეს ციხეო, ეს ტბრიო, ეს სტადიონიო, ეხლა კიდევ ეს... მოაშორე ეგ შენი დელტაა თუ პლანია. ჰაერში არ დაგინახო, თორემ ბელურასავით დაგახეთქებ მიწაზე! თქვენ რა პირი დაგიღიათ. — მიმართა შეკრებილთ. — ამ ბალღებს აჰყევით? სამუშაო მიატოვეთ? სად არიან ბრიგადირები, წაიყვანეთ ხალხი, თამაში დამთავრდა, არც გამეორდება.

ტყუილად ყვიროდა თავმჯდომარე. თამაში გამეორდა! სულ რამდენიმე დღის შემდეგ ხატის სერიდან დაეშვა დელტაპლანი, ჰაერში დაიწყო ლივლივი და სოფლისკენ შებრუნდა...

ისევ ჩამოირბინეს გოგო-ბიჭებმა ფერდობი ყიჟინით!

ჰაერში კოლა იყო, სტვენით მიესალმებოდა თანასოფლელებს.

კოლა არის ჰაერშიო!? ერთი ვიშვიში და თავში ცემა ატეხა მისმა დედამ, ბებიამ, დებმა, ხოლოდ მამა იკავებდა თავს, ქვედა ტუჩი მოეგდო კბილებში და უცდიდა რით დამთავრდებოდა ყველაფერი. კოლა კი ამასობაში კანტორის მოედანს უახლოვდებოდა და თანდათან ძირს ეშვებოდა. ბოლოს ერთი წრე შემოუარა იქაურობას და დაეშვა, გარბენი გააკეთა და კანტორის წინ შეჩერდა. კოლას მშობლებმა არ დაუცადეს შვილის დელტაპლანიდან გამოყრომას, მისცვივდნენ ცრემლისღვრით, გულში ჩაიკრეს, დაკოცნეს. ამ დროს ხალხში ჩოჩქოლი ატყდა. ვიღაც მოარღვევდა მოედანზე შეკრებილთ და უშვერად ილანძღებოდა. მან, როგორც იქნა, მისწი-მოსწია ხალხი და დელტაპლანთან გაჩერდა. ეს ბეგო იყო, მთვრალი, საკინძეშეხსნილი, ამღვრეული თვალებით.

— მაინც არ იშლით, კოსმონავტობა გინდათ? ჯაშუშები ხართ თქვენი ჯილაგი გაქრეს! იქით გაიწით! — დაიღრიალა, დასწვდა დელტაპლანს, ყორესთან მიათრია და დასცხო და დასცხო ლოდები. შემდეგ ზეაღმართა და მიწაზე დაანარცხა. რაღაც წუთებში გამართული დელტაპლანი ლითონის ჯართად იქცა. გული რომ იჯერა, ბარბაცით წამოვიდა ბიჭებისაკენ.

— აჰა, თქვენი დედამიწის თანამგზავრი, იფრინეთ ახლა.

— ვერაგი ხარ შენ, ბეგო!

— რაო, მე ვარ ვერაგი? ამას შენ ამბობ, მოთრეულო, წიწილასავით გაგგლეჯ შუაზე.

— ფეხი არ გადადგა შე გარეწარო. ისიც გეყოს რაც ჩაიდინე! — გამოეთხო წიორა, რომელსაც ერთ ხელში მოზრდილი სახრე ეკავა, მეორეში კი წითელი ჯვრის ჩანთა.

— შენ რაღა გინდა?

— უკან დაიწი, თორემ ამ სახრეთი აგაჭრელებ.

წიორამ სახრე აღმართა დასარტყმელად. დაარტყამდა კიდეც, მაგრამ ჯუნას ხმამ შეაჩერა.

— გამოუშვი, ნუ აკავებ! ეგა განა მარტო ვერაგია, დედალიცაა. აბა, ნახე თუ ნაბიჯი გადმოდგას.

მართლაც, ახლა ვინმეზე ხელი რომ აღემართა ბეგოს, სოფელი წაესეოდა და გააბრტყელებდნენ მიწაზე. მიხვდა ამას ბაღლარა. ჩაჩაჩული შარვალი აიწია, რაღაც წაიბურტყუნა, ,ალბათ, შეიგინა და ხალხში შეერია.

— ჩვენ მაინც ვიფრენთ! — თქვა ჯუნამ ყველას გასაგონად.

ირაკლი უგულავა.



ინფორმაცია

ტორონტო. გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება ცურვაში (25-მეტრიან აუზში) გდრ-ის, კანადის, სსრ კავშირის, აშშ-ს, შვეიცარიისა და შვეციის სპორტსმენთა მონაწილეობით. საბჭოთა მოცურავეთაგან წარმატებით იასპარეზა დნეპროპეტროვსკელმა ვადიმ იაროშჩუკმა. 400 მ. კომპლექსურ ცურვაში იგი პირველი იყო (4.19,73), 200 მ. ბატერფლაით ცურვაში კი მეორე (2.00,20). მსოფლიო ჩემპიონი 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში იგორ პოლიანსკი (ნოვოსიბირსკი) ამჯერად მეორე ადგილზე გავიდა. ფინიშზე მას კანადელმა მსოფლიო რეკორდსმენმა რიკ კეირიმ გაუსწრო — 56,74.

ვალ დიზერი. საფრანგეთის ამ საკურორტო ქალაქში გაიმართა მსოფლიო თასის გათამაშების ერთ-ერთი ეტაპი სამთო-სათხილამურო სპორტში. ვაჟთა სლალომის (სუპერგიგანტი) ტრასაზე პირველი მ. ვასმაიერი (გფრ) იყო — 1.40,56. მომდევნო ადგილები რ. ერლაჰერმა (იტალია) და მ. ჟირარდელმა (ლუქსემბურგი) დაიკავეს.

ბრნო. ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქის დიდი პრიზის გათამაშებაში წარმატებით იასპარეზეს საბჭოთა მოცურავეებმა. კრასნოიარსკელმა სერგეი სოკოლოვსკიმ 200 მ. ბატერფლაის სტილით ცურვა მოიგო (2.25,42), პენზელი ანდრეი პატრაკოვი კი 200 მ. ბატერფლაით ცურვაში იყო უძლიერესი (2.08,67).

ციურიხი. წყალბურთელთა სუპერთასი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელმა „შპანდაუ-04“ (დასავლეთ ბერლინი) მოიგო. გადამწყვეტ შეხვედრაში მან თასების მფლობელთა თასის მფლობელი სლიტის „მორნარი“ დაამარცხა — 10:8 (2:1, 2:1, 2:2, 4:4).

კოპენჰაგენში გამოქვეყნდა ცნობა, რომ 46 წლის ზეპ პონტერმა 1990 წლის 30 ივნისამდე გააგრძელა კონტრაქტი დანიის ნაკრებთან. დასავლეთგერმანელი სპეციალისტი უკვე 7 წელია, რაც ამ გუნდს უდგას სათავეში. მან იგი 1984 წელს ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი ტურნირის ნახევარფინალში, წლეულს კი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა.

ჰოლმსი გამოეთხოვა რინგს

ფილიპსბურგში (აშშ) გამართულ პრესკონფერენციაზე მსოფლიოს ექსჩემპიონმა მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის, 37 წლის ლარი ჰოლმსმა განაცხადა, რომ სამუდამოდ ეთხოვება რინგს.

— მეტად დავიღალე და იმ ხალხმაც თავი მომაბეზრა, ვინც ჩემს უნარს ყოველნაირ ექსპლოატაციას უწევდა — თქვა ჰოლმსმა.

ჰოლმსმა პროფესიული მოკრივის კარიერა 1973 წელს დაიწყო, 1978 წელს კი მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ეს წოდება მან 1985 წლამდე შეინარჩუნა, როცა, ბოლოსდაბოლოს, მაიკლ სპინქსთან დამარცხდა.

ჰოლმსმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ წინადადება მიიღო მატჩი გაემართა 1984 წლის ოლიმპიურ ჩემპიონ ტერილ ბიგსთან, მაგრამ არ მოისურვა ამ ბრძოლის მოწყობა.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ტაბლა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07761